




გვირა, 16 აგვისტო. მიიღება ხელმოწერა 1915 წ., თებერსი და სხვაგვარაა - ზო № 33 - 1915



ისტორიკოს-მწიგნობარი მ. გ. ჯანაშვილი  
 (სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1877 წ 17 აგვის.)  
 (იხ. ამავე ნომერში)



- საუცხოო საზაფხულო როტონდია, სენით და მშენიერი, ელექტრონია განათებული, ბადით.
- პარასკევს, 14 აგვის. სინემატოგრაფი და საზანდარი
  - შაბათს, 15 აგვისტოს ქართული ოპერეტა
  - კვირას, 16 აგვის. კონცერტი ივ. სარაჯიშვილისა და ი. ტომაშვილის მონაწილეობით
  - ორშაბათს, 17 აგვის. საზანდარი
  - სამშაბათს 18 აგვის. რუსული წარმოდგენა
  - ოთხშაბათს 19 აგვის. ქართული წარმოდგენა,
  - ხუთშაბათს 20 აგვის. საბავშვო საღამო: სიმებიანი ორკესტრი
  - პარასკევს 21 აგვის. საზანდარი; სინემატოგრაფი
  - შაბათს 22 აგვის. კონცერტი
  - კვირას 23 აგვის. მალოროსიული დასის წარმოდგენა

დასაწყისი საღამოს 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე.

შესავალი ფასი: შამაკანი იხდიან, — 30 კ.ქალები და სტუდენტები— 20 კ.  
წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფია— 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს., საბავშვო საღამო— 5—9 ს.

## ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

на еженедельный богато-иллюстрированный журнал

под  
редакцией

# „РАМПА и ЖИЗНЬ“

Л. Г. Мунштейна  
(LoIo)

Театр. — Музыка. — Литература — Живопись. — Скульптура.

Съ 1-го іюля по 1-ое января 1916 г. — 3 р. 50 к.

Съ роскошно-иллюстрированной преміей

### ГАЛЛЕРЕЯ СЦЕНИЧЕСКИХ ДѢЯТЕЛЕЙ (томъ I) 5 руб.

Адресъ конторы: Москва, Богословскій пер., (ул. Б. Дмитровка), д. 1. Тел. 2-58—25

Можно подписываться по телефону 2-58-25. Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней и субботъ отъ 12—3 часовъ дня. ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также въ Москвѣ у Н. И. Печниковой (Петровскія Линіи), въ книжн. магазинѣ „Новое Время“ (въ Петроградѣ, Москвѣ и провинц. городахъ), въ музыкальн. магазинахъ В. Бюссель и К<sup>о</sup>. (Москва, Петровка, 12), М. О. Вольф. (Москва—Петроградъ.) Л. Издиковскій (Кіевъ) и во всѣхъ книжныхъ магазинахъ г. Москвы и провинціи.

Цѣна объявленій впереди текста—75 коп., за строку петита, позади текста—50 к. (4—2)





№ 33

წელიწადი  
8 მ ა ს 8 0

წელიწადი 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „საბჭოთა სპორტის“ სტამბაში. მისამართი: Тифლის Ред.-Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდებიან.—ხელთნაწერიები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 33

კ ვ ი რ ა, 16 ა ვ გ ი ს ტ

1915 წ.

16 ა ვ გ ი ს ტ

ის, რაც დაბა სოფლის სცენას უჭირს

ჩვენდა საბედნიეროდ დაბა-სოფლებში ქართული სასცენო ხელოვნება ფრთას შლის—არსდება დრამატიული წრენი, საზოგადოებანი, აშენებენ საკუთარ სათეატრო დარბაზებს, აღგენენ დასებს და სხ.

იღმეს წარმოდგენები, უმეტესად საქველმოქმედო მიზნით, და თითქმის ყველგან ერთსა და იმავე, ძველ გაცვეთილ პიესებს სთამაშობენ...

დაბა-სოფლის სცენის მოყვარეთა რეპერტუარი დრამატიკალი, დრამატიკალი იმით, რომ საჭირო დაბეჭდილი პიესები არ მოეპოვებათ... ხშირად ისეთ პიესას სდგამენ, რომელიც ხელთა აქვთ, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა.. პიესის უქონლობა კი ძალზე აბრკოლებს დაბა-სოფლის სცენაზე იდეურ რეპერტუარის გამეფებას...

ვინ უნდა შეავსოს ეს ნაკლი, თუ არა ქართულმა დრამატიკულმა საზოგადოებამ? ნუ თუ ბიბლიოთეკის დაწვამ, სადაც მრავალი პიესა სემუდამოდ დანთქა, გონებაზე არ უნდა მოგვიყვანოს და საჭირო პიესები დროით არ დაგვაბეჭდინოს?!


ქართული თეატრის დარბაზის ჩაფერფლსთან ერთად თითქო ქართული დრამატიკული საზოგადოების გამეფებაც ჩაიფერფლა, დაქარაგა უნარი მოქმედებისა... თითქო პატივცემულ გამგეობის წევრთა დანიშნულებას მხოლოდ ანტრეპრიზის მოწყობა შეადგენდეს!..

ქართ. დრამ. საზ. გამგეობას თუ თბილისში მოქმედების ასპარეზო მოესპო, მაშინ იმდენი უნარი მინჯ უნდა გამოიჩინოს, რომ

დაბა-სოფლებს გამოსადეგი რიგიანი პიესები შეურჩიოს და დროგამოშვებითი კრებულები ბეჭდოს, რითაც დიდს სამსახურს გაუწევს პროვინციის სცენას და, გარდა ამისა, ჩვენს დრამატიულ ლიტერატურასაც ვაამდიდრებს.. ასეთ გამოცემლობის მოწყობას დიდი თანხა არ დასჭირდება, საქმე კი მზისაგებია... აი, დღეს რა უფრო უჭირს დაბა-სოფლის სცენას...

ხელი შორს!

კაი ხანია აქარაში საქრისტიანო სამისიონეროა, სადაც დღემდე მისიონერად უმეტესად რუსი მღვდელი იყო, დღეს-კი, როდესაც უბედურებაში ჩაცვივნულ მაჰმადიან ქართველებს ქრისტიანმა ქართველობამ ძმურად ხელი გაუწოდა, სამასი წლით ერთმანეთისგან გათიშულნი ერთი დედის შვილნი ერთმანეთს გადაეხევივნენ—დროა თავი ვიცნოთ და ჩვენი მამაბაბური კერა გავადვიოთო,—სწორედ ამ დროს ქართველ მაჰმადიანთა შორის მისიონერად გზავნიან ქართველ მოძღვარს (რავდენადაც ვაგივით, თვითონ ამ მოძღვარს გამოუდვია თავი სამისიონეროდ) და ერთს არც კი დაფიქრდებიან: რომ ანთ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ურთი-ერთობის განტყიცებას რა დიდად უშლიან ხელს.. და ამ დნაშულობის მებაირატრედ გამოდის ქართველი მოძღვარი!.. ხელი შორს, მობატონე მამანო! დღეს ქართველ ხალხს სარწმუნოებრივი უშულის თესვა კი არა, ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება ესურვება.. ანგარებთ გატაცებული თუ არა უწიან რასა იკმონენ, მაშინ თვით უმცირესა უნდა ამო





ილოს ხმა და ერთხელ და სამუდამოდ ნათელ-  
ჰყოს, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველ-  
თა დაახლოებება მხოლოდ ეროვნულ ნიადაგ-  
ზე შეიძლება, რომ სარწმუნოება სინიღისის  
საქმეა და ამას იარაღად არ უნდა ხმარობდეს  
არც ერთი მხარე...

დაე, ჩვენის ქმობის ხიდათ გაიღოს ჩვენი  
გეგარტომობა, ქართველობა, დიდი შოთა  
რუსთველი, აკაკი და ილია, ეროვნული სკო-  
ლები, ქართული მწერლობა, ქართული თეატრ-  
ი და არა სარწმუნოებრივი შეჯიბრება—  
ქრისტი და მაჰმადი...

### რჩეული

ვერა, ვერ იქმნა და სული მისი  
ცრუ წუთისოფელს ვერ შეეგუა,  
როგორც ღრუბელი, ოზლად მთელი,  
დახეტიალობს ცა-ქვეყნის შუა.

ვინ იცის, იქნებ მთელ ამ ყოფნაში  
ვერსად ვერ ჰპოვოს რჩეულმა ტოლი  
და როგორც ოზლად მოვიდა ქვეყნად,  
ისე ოზლადვე მოჰკვდეს ოზოლი.

*Handwritten signature*

### ხელოვანნი ომში

დღევანდელმა საარაკო ომმა თითქო  
სრულებით არიგ-დარია კაცობრიობის აზროვნე-  
ბა. ჰუმანიურ აზრთა ზრდა და განვითარე-  
ბა თითქო შეჩერდა და მხოლოდ სისხლის  
ღვრა და ძალმომრეობა გამოეფა ყოველგან.  
სოციალისტები მინისტრებად გადაიქცნენ და  
ხელოვანნი ომში წაყვინდნენ... სისხლის საღ-  
ვრელად. ის მარჯვენა, რომელიც უმაღლესს  
სიყვარულსა და „კაცთა შორის სათნობაზე“  
საუკეთესო ნახელოვნებს სწერდა, დღეს თოფს  
ჰკიდებს ხელსა და თავის მოყვასს ცხელი  
ტყვიით გულს უგვირავს.

ასე მოიქცა ბელგიაში მეტროლინიკი,  
იტალიაში დანუნციო და საფრანგეთში ანა-  
ტოლ ფრანსი, ეს სამი თანამედროვე ზუმბერა-  
ზი მწერალი. ანტოლ ფრანსი ერთგვარი  
კენესა მაინც აღმოხდა გულიდან ოპოზი წასე-  
ლის დროს. გეხსომებათ მან დასწერა, რომ  
„ამბოზენ ახლა კალამი აღარ არის საქირო-  
ვო. მეც ვღებ კალამს, ვიღებ ხელში თოფს  
და საომრად მივიღივარო“. სხვებს არაფერი  
ამ გვარი არ წამოცდენიათ. უფრო წვრილმან  
წერლობებზე, მუსიკოსებზე, მსახიობებზე და  
სხვ. ხომ ამ უამდ და ამ მხრივ ლაპარაკი  
არა ღირს. ყველანი უმეფელო ბრძოლის  
სურვილმა შეიპყრო. ყველა ერთგვარ აზ-  
როვნებს.

მხოლოდ სულ სხვა გვარ ფიქრობს, თურ-  
მე, იტალიის მეფე ვიქტორ-ემანუილი.

განთქმულმა ბარიტონმა ბატისტინიმ  
გადასწყვიტა საომრად წასვლა. წინედ თურ-  
მე სახმებდრო სამსახურშია ნაწყინი და  
ახლა თავისი ქვეყნის პოლიციის ხა-  
რისხიცა აქვს. მანაც თავისი გადაწყვეტილე-  
ბა მეფეს აცნობა და სთხოვა ერთ-ერთი პოლ-  
კი ჩ ებარებინა.

მეფემ ასეთი წერილი მისწერა: „დიდათ  
ვაფასებ თქვენს მაშული შვილურ აღფრთოვნე-  
ბას, მაგრამ იტალიის მთავრობა თქვენის სამ-  
სახურით მაინც ვერ ისარგებლებს, რადგან  
ომში თქვენ მხოლოდ ავსტრიელებს აულობებთ  
თქვენი ხმით კი დიდი ხანა რაც მიიღეს  
ქვეყნიერებაზე გაიმარჯვებთ და ამითი განაღ-  
დეთ და შეამკეთ თქვენი სამშობლო იტალია.  
მეფესა სურს, რომ კიდევ დიდხანს იპყრო-  
დეთ და იმორჩილებდეთ ადამიანთა გულს და  
გრძნობას. ბრძოლის ველზე კი მეტრს სხვა  
მხენ და უშიშარი სარდლები გაუსწორდებია-  
ნო“.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მეტად  
გონივრული პასუხია. ჩვენც ყოველთვის იმათ  
უნდა ვაფასებდეთ, ვინც დიდ განსაცდელშიაც  
გონებებს არა ჰკარგავს და თავის გზა-კვალს  
არ ასცდება.

*Handwritten signature*





**ა. ქალაბეგიშვილი**  
ქართული სკენის ნიჭიერი და მუყაითი მსახიობი. ყვირას, 18 აგვ. მისი ბუნებისა ყვირილის თეატრ.



მომღერალი  
**დავ. აკოვბეგიშვილი**  
სტანისლავიტა და ანანათი არის დაჯილდოებული

## ისინი ცხოვრებასა ქმნიან!

უთვალავი იყო მათი რიცხვი და აუტანელი მათი შრომა. ბუნების უმშვენიერეს კუთხეში მოეყარათ მათ თავი და მუშაობდნენ... ქალაქს აშენებდნენ ისინი...

მაგრამ ქალაქი იგი უნდა ყოფილიყო შეუღარებელი სიღამაზისა. თლილი მარმარილოსა და სხედასხვა ძვირფას ქვებისაგან აშენებული სახლები მრავალფეროვანად ბრწყინავდნენ მზის სხივებზე; მათი სახურავების ფერადები თვალს აამებდნენ... მშვენიერი, ფართო ქუჩები თლილი ქვითავე იყო მოფენილი... ყოველ ქუჩის კუთხეში კი სხვა და სხვა ლითონებისაგან ჩამოსხმული ძეგლები იდგნენ სახელოვან მიწის-შვილთა სახსორად...

და შრომობდნენ აღამიანები და ამშვენებდნენ ქალაქსა მას... მზათ იყო ყოველივე, მხოლოდ ერთი ტაძარი, ტაძარი ხელოვნებისა, არ იყო დამთავრებული...

ტაძარი იგი კი თვალი იყო ამ ქალაქისა... კაცობრიობას არ ენახა მაზე უღამაზესი რამ .. ჰენია მიწის შვილთა სიხსენით გაიშალა ამ ტაძრის აშენებაში ..

დიღანს, ძლიერ დიღანს აშენებდნენ აღამიანები ამ ტაძარს. მრავალი კაცი მუშაობდა ზედ და მოკლე ხანში უნდა დამთავრებინათ...  
და დამთავრდა ტაძარი იგი... და მიალწია ხალხმა საწადელს...

შემდეგ გავიდა ხალხი ქალაქის გარეთ,

მახლობელ მთაზე და დაუწყო ცქერა თვის ქმნილებას... ხალხი სტკებოდა ქალაქის ცქერით... ალტაცებაში მოდიოდა ხელოვნების ტაძრის სიმშვენიერით.

გავიდა ხანი...

ერთს დღეს, როცა ხალხი ქალაქის გარედ გასულიყო და მისი მშვენიერების შორიდან ცქერით სტკებოდა, ერთმა ხუროთმოძღვარმა მეგობარს უთხრა:

— ხედა, აი იმ გუმბათის წვერი რომ ცოტათი მაღალი იყვეს და კუთხიანი, უფრო ლამაზი იქნებოდა... მეგობარი მის დაეთანხმა—მართლაც ისე აჯობებდა ...

შემდეგ ხალხი უფრო მეტ ნაკლს ჰხედავდა თავის ქმნილებაში, და ბოლოს თვით ხელოვნების ტაძარს, იმ ხელოვნების ტაძარს, რომლის აგებისათვის აღამიანები საუკუნოებში ცდილობდნენ—ამ ხელოვნების ტაძარსაც ნაკლი უნახეს...

და დაიწყო სიღამაზე შენობათა... და გაისმა ხმები:

— ავაშენოთ ახალი... აი, იქ მაღლობზედ ავაგოთ ახალი ტაძარი, თვით ზეცას რომ გუმბათით მიეგვიწიოს...

— ავაშენოთ ახალი, ხოლო დავანგროთ ძველი... მხოლოდ ძველის ნანგრევებზე აღმოცენდება ახალი...

და ისმოდა ყვირილი და ვერ გადაეწყვიტათ აღამიანთ, თუ რა ექნათ...

\* — არა ძველის ნანგრევებზე უნდა ავაგოთ ახალი ყვიროდნენ ერთნი—და გამოქონდათ გამანადგურებელი იარაღები...

— არა, ნუ, ნუ ვიქმნთ მაგას... გაიძახოდნენ მეორენი, მაგრამ არცის ესმოდა მათი.

ზარბაზნები ანადგურებდა ქალაქს... ათასი წლის ნაშრომ-ნადგავლი სულ ცოტა ხნის განმავლობაში მტვრად აქციეს... ანგრევდნენ სახლებს, ანგრევდნენ ძეგლებს... სწავადნენ და ანადგურებდნენ რაც რომ მშვენიერი და ლამაზი იყო ქალაქში...

და ხედილა ყველა ამას უცნობი კაცი, მოსული უცხო, შორეული ქვეყნიდან...

და ასე იკითხა მან:

— რასა შერებთან ისინი, რასა?

და უპასუხა მას ვინმემ ხალხიდან:



— ისინი ცხოვრებას ჰქმნიან!...  
— ცხოვრებასა?..

— ღიად, ცხოვრებასა ჰქმნიან ისინი... ჩვენ ათას წლობით ვაშენებთ და ვამშენებთ ჩვენს წმიდათა წმიდას... ვშრომობთ, ვიღწევით და მიზნისაკენ მივისწრაფვით... და როცა მიზანს მივიღწევით... ჩვენ ვჩერდებით... ვანგრეობთ ჩვენს წმიდათა წმიდას და ძველი ტაძრის ნანგრევებზე ახალს ვაგებთ... ახალს ღმერთსა ვსცემთ თავიანს...

შენ ხომ ხედილი მშვენიერების ტაძარს, ახლა მას ვანგრეობ... და არ ვნადგობთ, რომ ვანგრეობ...

ჩვენ ის განა არ გვიყვარდა, მაგრამ განა სიყვარულისთვის შეჩერდებოდა ცხოვრების მსგელოება?... ჩვენ ის უნდა დაგვეგრია... რომ ისევ დაგვეწყო... და ისევ ამოძრავებულიყო ცხოვრება... მხოლოდ ჩვენ ამ ძველს ვანგრეობთ ახალის სახელით, მშვენიერებას ვანადგურებთ — უფრო მშვენიერების გულისათვის...

და ასე მივიღვივართ...  
ღიად, ეს არის ქმნა ცხოვრებისა და ხედავ, ისინი ჰქმნიან ცხოვრებას...

და ისმოდა ხრიალ-გრიალი და ინგრეობდა ტაძარი იგი მშვენიერით...

— ისინი ცხოვრებასა ჰქმნიან.. ათასი წლობით ნაშრომს ერთ წუთში ანადგურებენ, რომ ისევ ხელახლა დაიწყონ შრომა?... ცხოვრება?...

და უცნობმა კაცმა, მოსულმა შორეულ უცხო ქვეყნიდან, თავი ჩაღუნა და განშორდა ადამიანს, რომელიც აშენებენ იმისთვის, რომ ბოლოს გაანადგურონ, უყვართ იმიტომ, რომ მალე შეიძულონ...

*რინისა*

## მ ხ ნ ე გ ა ლ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე

### I სიზმარი

ერთხელ ვნახე სიზმარი. აღტაცებული ჩანჩქერის ძირას ვიჯექი და უზარმაზარ თოვლიან მთის სიღამაშით ვსტკებობდი... ჩანჩქერის ჩხრალი ატკობდა ჩემს სმენას, მთის თოვლიან მწვერვლის სიღამაზე იტაცებდა ჩემს თვლებს...

უცებ საიღანაც ცის კაბადონზე გამოჩნდა რაღაც დიდი ფრინველი.. ლაქვარდოვან ცას შედიდურად სჭირდა მისი მძლავრი ფრთები.. მოვწყვიტე თვალი მაღალ მწვერვალს და ფრინველთ მეფეს მივაშტერე... მთლიად დამატყვევა მისმა შედიდურმა სრიალმა, მთლიად შთანთქა მისმა გიჟურმა ყვირილმა.

უცებ ფრწველთ მეფე შეკრთა.. ჰაერში შეინ ვარდა და ამაყად დაჰკივლი. გვერდზე გავიხედე, ვღაც მონადირე მშვილდს სქიმავდა, ისარს ამზადებდა.. მივხვდი. მივხვდი რამაც შეაკრთო ფრინველთ ბატონი, მიხვდი და გული მეტკინა.

არწივს ვაგვხედე... გულში ერქო ბასრი ისარი... ძირძირ ნელა მოდიოდა.. ყოიდა სველიანი... აი, მოუახლოვდა მიწას...

სულ ახლოს... მაგრამ უცებ იყივლა, შეინძრა, მოიკრიბა ძალა და წავიდა ზევით, სულ ზევით, მერე მიაშურა იმ თოვლით დაფენილ მთის მწვერვალს, რომელიც მედიდურად არეს დაჰყურებდა... მიაშურა, კიდევ შეინძრა, ერთი საშინლად იყივლა, შურდულივით დაჰქნა და გულით მის მწვერვალზე გაიშოტა.. ერთი გაიზმორა და სული დალია... მივაშტერდი მწვერვალს.. მივაშტერდი და სეგდა ჩემი სღაც გაჭრა.

— არ დაეცა ველად გულ-გამგირული არწივი, არა.. გავიფიქრე...

— იქ დალია ამაყი სული, საღაც უნდა დაელო...  
— ნეტავი მას...

გამომეღვიძა...

### II ოცნება

უეტრად გამახსენდა ეს სიზმარი, როცა ვაჟას გარდაცვალება გავიგე. გამახსენდა და რაღაც გიჟურმა აზრმა შემოპყრო...

— ოჰ, რა კარგი, რა კარგი იქნება, გავიფიქრე, რომ ის ჩვენი „მთის არწივი“ მყინვარის მწვერვალზე დაგვესაფლავებია... მყინვარის მწვერვალზე, იქ, სადაც სულ ღოვ-





ლიო, ქარიშხალი... სადაც მხოლოდ არწი-  
ვები მედიდურად დანავარდობენ..

ოჰ, რა კარგი იქნება, რა ლამაზი...

რად გვინდა „მთის არწივი“ სადმე ღი-  
ლუბებში, რად? მისთვის, რომ ვნახოთ ხოლომე  
მისი საფლავი და პანაშვიდები ვუხადოთ?..

აბა, მთის არწივის იგი არ უნდა, აბა...  
მას ვალია სძულს. სძულს..

სტიქიონები იყო მისი მეგობარი.. მთის  
თხემები იყო მისი ბინა... ბროლის ჩანჩქერე-  
ბი იყო მისი შესაიდუმლოე, მთის ქუჩს უზი-  
არებდა თავის დარღებს..


ახლა კი?  
ახლა კი, ამავს მოკლებული, როგორ  
მოისვენებს მისი სული ღილუბებში?  
როგორ?!

ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ის, ვისი  
ცხოვრებაც ლეგენდა იყო—მ სი სიკვლილიც  
ლეგენდად ქცეულიყო!!

ოჰ, რა კარგი იქნებოდა!!

მი ჩივს.

## საზოგადო მოღვაწენი



### მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი

ერის წინსვლას, დაწინაურებას ხელს უწყ-  
უბს მის მოწინავე შუაგობა ღვაწლი, დაუცხრო-  
ბელი მუშაობა. ასეთი მუშაობა ხელს ამდ-  
ლებენ, თავის თავისადმი რწმენას უნერგავენ..

რა იქნებოდა ერის ცხოვრება, რომ მას  
არა ჭეოლოდა მოსარჩლე და გზა-კვალის მანე-  
რებელი..

ჩვენც გვეყვას რამდენიმე ასეთი მოღვაწე,  
რომელთა შორის სამატოო ადგილი უჭირავს  
ჩვენს დაუფალავ მწიგნობარს მ. ჯანაშვილს,  
რომელიც თავისი თანამოცილებელნი წელიწადია რაც  
ჩვენში მოღვაწეობს.

მ. ჯანაშვილი დაიბადა მარად მზიანს ს-  
ინგილოში 19 მარტს 1855 წ. მისი მშობლე-  
ბი გიორგი და მარამა ადრევე დაწვრილშვილ-  
დენ (ჭუყდათ 6 ვაჟი და ერთი ქალი) და დიდი  
გაჭირვება, ხელმოკლეობა გამოსცადეს. სოფ.  
კახის მკვდრი მცხოვრები გაორგი, დიდგვ-  
რინი ძველთაგანვე,\*) იყო ერთი ამ შვიდთაგ-  
ანი, რომელთაც საინგილოს გამაზადინებულ  
ქართველებში ხელ-ახლა შემოიდეს (1850 წ)  
ქრისტიანობა და გაჩაღეს მამაშური კულტურა  
დღეს კახი განათლების მხრით არ ჩამოყვარდება  
საქართველოს, არც ერთ თვალსაჩინო დაბას. მარ-  
ტა-ხელ მამას მისი მეოთხე ვაჟი მოსაკო  
შეელოდა უოველეგარ სოფლიურ საქმეში  
1868 წ დე. ამ წელს მიაბარეს ჭარის სამარხო  
სასწავლებელში, სადა ისეთი ნიჭი გამოჩინა-  
სწავლაში, რომ კლასიდან კლასში მუდამ შირ-  
ვედ მოწაფედ გადადიოდა. ასეთი ბეკითობისთ-  
ვის მამინდელ სკოლის წესისამებრ ბოლო წე-  
ლიწადს მოელის სასწავლებლის უფროსობაც  
(ისტორიკობა) ებარა. 1874 წინებულად დას-  
რულა ჭარის (ზაქათაღის) სასწავლებელი და  
მერე თბილისის სასულიერო სემინარიის 1-ელ  
კლასში შევიდა. აქ მოსეს ხელმძღვანელობდენ  
ამინდელი მასწავლებლები გიორგი იოსელიანი  
და თამა ტურაშვილი. აქაც შირვედ შევირდათ

\*) ჯანაშვილების საგვარეულო ქალაქდები დი-  
კარგა ს. სოსიკანში მის აკლდის დროს ლეგების მიერ,







# ს ა ზ ა ნ ღ ა რ ი

(საზანდა)



## ალა ლაქბარის მეფლისი 1273 ჰიჯრისა (1855 წ.)

- 1) მირზა აბდულა ხან ალაილი მულქი; 2) მასულ მირზა; 3) ჰასან ხან;
  - 4) მირზა ჰეიდარ ალი სარხანგი; 5) ალაქბარ ბაზიგიარ (მომთამაშე);
  - 6) სოლთან ხანუმი, 7) ქიეკაბ ხანუმი.
- ნახატი მირზა აბულასანან სუნულ მულქისა.

ბერი საყუნთა რც ეს სიტყვა ჩვენშიაღ  
 არსებობს, სმარსეთიდან შემოსული მაგრამ  
 დღეს, როგორღაც ქართველობა გულისაღ და  
 თვლიდან იშორებს ძველ ზნეს, ჩვეულობას,  
 სმოსავს, ლექსთ-წყობას და ლმის ენასაც;  
 მათთან სიმღერა გლობას და ღაგერასაც იგიწ-  
 ყებს... თითქმის ყველა ოჯახში მოაბოგება  
 ფორტეპიანო, გიტარა, ნანდოლინა, სკრიპკა და  
 კერამიკული სხვა სკარაგები; ჭიანური, ფანდუ-  
 რა, სანთური და თარი-კი თითქმის მოსპობი-  
 ღია და ბეგრმა ანც კი იცის, როგორ უნდა  
 მისი ხელში დაჭერა.. საჭიროა კერამიკული  
 უოვედ მენიერების სწავლა, მაგრამ ჩვენიც კი  
 არ უნდა დავივიწყოთ... თუმცა დღეს მის სუს-  
 ტათა ვგრძნობთ, მაგრამ წარსული კი დიდი  
 და ბრწინებალე ჭქონია, რასეღაც გვიანდა ვი-  
 ღაპარაკოთ, მაგრამ როდესაც საზანდრობის შე-  
 სისებე ვიწვეთ ღაპარაკს, ჭერ სმარსეთის მუ-  
 სიკას უნდა შევხვით.

სიტყვა საზი\* სმარსულად ძნობა, სა-

ზიობა; საზანდას და მუტრბის  
 უწოდებენ: მმნობელთ, მსახიობთ,  
 მუსიკის მცოდნეთ და სხ. აგვგართ..

საერთო მუსიკალურ ისტორია-  
 ში მაღალი და ბრწინებალე ღაგე  
 უგავია სმარსეთის მუსიკას. სმარ-  
 სელებს ცნობებაში უძვირფასეს  
 სეგნად ჭქონიათ მიღებული სა-  
 ზიობა; მუსიკის ღაგერაში ისე  
 უოფილან დასეღონებულნი, რომ  
 ბეგრჯერ დიდათ უსარტებლიათ. მა-  
 გალითად: არაბების მიერ ქ. პღ-  
 დღის დასურბობის შემდეგ ოღღა-  
 ათი ათა'ი ტუვეკანთავისუფლებულ  
 იქმნა სიკვდილით დასჯისაგანა, მუ-  
 სიკის წყალობით, და ბეგრ ამ  
 გვარი შემთხვევისგან დაუსნაიათ  
 თავი სამუსიკო სეღონების ძა-  
 ღლით... მაგრამ ისღამის მიღების  
 შემდეგ-კი მუსიკა ღაგე, სასულიტ-  
 რი წოდებაში აკრძალა, რამაც დიდი

უთანხმობა გამოიწვია თითქმის მთელ ისღა-  
 მიაში: განუწუვეტელი ბასი და ზურ-ზაური  
 იყო მოღლებსა და მწერალ-მოშიარეთა შორის.  
 ატრდვე დიდ წინაღმდეგობას უწევდნენ თურქთ  
 მოშიარებიც; მათ შორის უმაღლესი მოშიარე  
 ფიზული ასე უზახუებს მოღლებს თავის  
 ერთ ღექსში: (მოტეგება ზროზად)

— რე, საღუნო, თქვენ აჭკადელთ ნა-  
 სსა\*) ტკიბილი სმა? თქვენი არძაღვით გაჭარ-  
 წელეთ ნამუსი ისღამისა. ვითომ ტინდოღათ  
 სპობარი კატობობობაზე? უგაღო!... ნასასებრ  
 ზვილ ზვილად გექმნათ სსეულა\*-ო და სსეგნ  
 ბეგრი ამ ნაირი შიარი და წერიღა მათ  
 წინაღმდეგ.  
 ამისობაში მუსიკამ ღაგერა თავისი ძაღა,  
 ღაგერა უძვირფასესი თორღა და მისი აღწე-  
 რა რღამი მუსიკა\* (მუსიკალური მენიერება),  
 მართაღა, დღესაც არსებობს ეს მუსიკის თეო-  
 რიის წიგნი, მაგრამ ვეღარ ირტეგა მისი ხუსსე-  
 ბი (ნოტა); ატრდვე ღაგერა მიშენიერი დასტ-

\*) საზი—ფანდურასც ეწოდება.

\*) ნ ა ს ა—სოლომურის მსგავსია, სპარსულად: ნგი.



### მუტრიბი ქალი

(სპარსელი მომღერალ-მომცევე)

გიაჭები, რომლის გარე ნაწარმოებს ეგრობიულნი სიმფონიას უწოდებენ...

აი, როგორ ემსგავსებიან დასიტ-გიაჭები სიმფონიას, მაგალითად ავიღოთ ჩაჭარგიაჭი.

ჩაჭარგიაჭი—მეოთხე ნაწარმოებია (თხუთა) რომელიმე უძველეს მუსიკოსისა, ოთხ ნაწილად: მეოთხე მუსლი ანუ ჭანგი, მეოთხე გამმა, პირველი — „იეჭიაჭი“ ანუ „რასტი“. ამ გამმას ეგრობიულნი „დო მჟორსა უწოდებენ; მეორე — „დჟეგიაჭი“ — „ოფ მჟორი“; მესამე — „სეგიაჭი“. ეს გამმა ჭაგის ბურანების ერთ საეკლესიო ხმას გიმიფორიგოულს; მეოთხე -- „ჩაჭარგიაჭი“, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. მისი დაკვრა ეგრობიულ სარავზე (ფორტეპიანოზე) რომ მიფინდომთ, შემდეგ სმებაზე უნდა ავაწყოთ: გ, ას, ბ, ც, ბ, ეს, ჩის, გ

ჩაჭარგია თავის მეოთხე სიმფონიურ ხანიათს ასე გვიხატავს: ჩაჭარგის დამკვრელი სხანდა ან მუტრიბი, მრისხანებით უნდა ადოვსოს, ჭეოქრობდეს მხოლოდ ბძმოდის ვეღზე. რომღარადი ავეყვის (ტურნო) ხმით უნდა მღეროდეს არა სსიფერულად ექვებს, არამედ ქებას

ვინმე ბუმბურაზისას ან რომელიმე საზოგადოებრივ (ძან ეთანხმება ფორდუის მანამედან ამოდებულად ექვს), უოველ მუხლს თავის და გვანად, მაგალითად: გ „დარამად ჩაჭარგიაჭი“ — შესავალი; ჰ -- „ხანბილა (პირველი მუსლი); ტირილი, მწუხარება; ცრემლი; დ -- „ჭანარი“ (მეორე მუსლი); ციხე-გალაფანი, სიმავრე, გამავრება მტრის წინაშე; ეს -- „მუხალოფი (მესამე მუსლი); მტერი, მტრის გამარჯვება, ციხის დანგრევა; გ -- „მინსურია“ (მეოთხე მუსლი); კანს შემორტემა, მტრისადმი დამონება...

ჩაჭარგია გარდა სხვაც შეგვხვდება ამგვარი სხვაგვარი დასიტ-გიაჭები, მაგრამ ხალხის მიერ უფრადდებოდას მიტოვებული და სხანდად-მუტრიბთაგ-კი (მეტადრე კავკასიაში) ესადიებით ვაღსის ან სხვა ეგრობიულ ჭანგების დაკვრას (ნეტავი რეიანად მანინ), ვიდრე თავიანთ საკუთრების დაკვრა, ან მასე ფიქრი, მის განსხვავება ეგრობიულნი კომპოზიტორნი მუშობენ. მე, მათი ნაწარმოების (Avazet Casnif Persian A. Lemaire) მხახვალს, არა მჯერა, რომ მათ შეეძლოთ ამ მუსიკის (საერთოდ აღმოსავლეთის მუსიკაზე ვლაპარაკობ) შემუშავება და კვლავ სულის ჩადგმა. არც იმათი შეიძლება ვერმეონთ, რომელნიც ათ-წლითი დარწმუნებანი კავკასიაში და კიდევ ვერ გაურწყვავათ ქართული ჭანგები სამხურდიან, თათრული სხანდად (იხ. Кавказская музыка Корганова“).

ამსე საუურადდობს გაიბობთ. რუსეთში ჩემი მოგზაურობის დროს, ქ. მოსკოვში ეგრობიულ მუსიკოსთა ერთ წრეში ჩამოყარდა ლანარავი აღმოსავლეთის მუსიკის შესახებ და შემდეგ მთხიკეს, ტანურზე დამკვრა აღმოსავლეთის რომელიმე ჭანგი... დაკვრამ დიდს აღტაცებაში მიიყვანა მსმენელი. სხვა და სხვა გვარ ქებით იხსენებდნენ აღმოსავლეთის მუსიკას... ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მთხიკეს დამკვრა... მეორედ დაკვრის შემდეგ დარ მესმოდს ის ვაჟა და ქება... ე ამ გარემოებამ ძან გამაკვრავს და მალეც გამოიკვება საქმე რაში იყო: თურმე ამათ მეორე შესრულებული პირველი ჭანგის განმეორება კეთათ... რადესაც აუხსენი, სხვა და სხვა ჭანგები იყო მეთქი, ჭერ არ დამოკვრას, შემდეგ დიდ გაკვირებას





მიეგნენ... (პირველი — „შუშტარი“ და მეორე „ბიათი ისპანია“ იყო).

მოკლედ რომ ვსთქვათ, ევროპელებს ჭერჭერებით ვერ ესმით აღმოსავლეთის მუსიკისა რამე და ამის მიზეზიც ასე აიხსნება: ევროპელთა სმენას აღმოსავლეთის საქცევი (მენზურა) ძალიან ეწინააღმდეგება; ჰანგები უფროდით (ტაქტი) იკურის და რომელიც ფარდით იკურის, ისიც მეტი წილი არა ერთგვარ ფარდოვნ ზომით, როგორც ევროპელებისაა გარდა ამისა, ევროპელთა ოქტავა შესდგება: თორმეტ ნაწილისგან, სპარსელებისა 17 ნაწილისგან; ქართული (სახანდრული) 19 ნაწილისგან, რომელიც გუნდრელებულია სადისს მიერ (კაუკასიის სახელგანამ მეთარე) მთელს კავკასიაში და დღეს ამ ხმაც შეკრვენ კავკასიის სახანდრეები.

რათორ და როდის გუნდრელად კავკასიაში აღმოსავლეთის სკანდები, ამაც შემდეგ წერილში.

ქალ. ოგანეზაშვილი

# საყუბლოს გიიკი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 30—32)

— კაცო, მამი ჯგვარი რომ გკილია — მეგას რაცხა ბენკიაო, არაფერი არ მოვა? — ჰკითხა ერთხელ ივანეს ცოლმა.

— მოვიდეს უნდა, აბა რა ვიცი...

— როდის მერე... ამის მეტი გავიგრება რაღა უნდა დავადგეს?.. შენ ასე ხარ, ბაღნები უპერანგოთ მყავს, ამ ორ ღღეში სიმინდი გამოილღევა, და მქამლებიც უფრო ბევრი ვართ... რა მიწაში წავიდე მე უბედურმა.

— მე ვარ სამიწე, მე! — სთქვა ივანემ: ცოლის სიტყვებში შეამჩნია უკმაყოფილობა და ჩივილი.

— იი უღმერთოებიც საყანულს ახლა თხოულობენ, — ორი წლის გადაუხდელი გაქვთო, — ასე გამომიცხადეს... რა მოვხებო, რა ვფიქრო არ ვიცი... ღმერთი ბაღნებს არ მომიკლავდეს შიშვილით თვარა, სხვას ვინ ჩივა.

— საყანულზე ახლა კრინტს ვერ დასძრავენ! — გაფითლდა ივანე, თვალები აენთო და ხმა აამალდა: — მე თავი დავიღუპო, ოჯა-



ინგილოური დრამატული დანი, სახელგანთადათაგან შეეძარბი, რომელიც, ეთველ წელიწადს მართავს რამდენიმე წარმადგენას სანიტილოში. სურათზე გადაღებულია არიან ინგილოუს ტანისამოში. ძირსა წყანან: მკვდლიშეილი, სუცაშეილი; შუაში სხედან: ორი დანი ივანტეები, ბაირანაშეილი, სუციშეილი; სდგანან: მკვდლიშეილი; ბაირანაშეილი, ეულოშეილი, სუცაშეილი. (საგ. გაღ „თეატ.“ და ცხოვ.“ ხ. ვილაშვილის მიერ)

ხიც დავაქციო, და მაგენმა მე საყანულზე მელაპარაკონ!.. აბა გაბედონ ერთი!..

— უხელოს და უფეხოსი კი არა — სალი რომ იყავი, მაშინაც არავის ემინოდა შენი.

— ბაბას ტყუილთა ქამის... — წამოსცდა ბენიას, მაგრამ დედამ სწრაფლ თვალი გადაავლო და შეაწყვეტინა.

ერთი თვე შესრულდა, რაც ივანე სახლში დაბრუნდა.

ის ყოველ ღღე მოელოდა, — აბა, მოვა ვინმე მოხელე და გამოძიებას მოახდენს პენციის შესახებო.

ერთ ღღეს ეწვია კიდევ ვილაც უტნობი „კაკარლიანი“ კაცი ორი თანამხლებელით.

— ნამდვილათ აგენტია... მოსულან ჩემი მდგომარეობა დაინახონ და სიღარიბე-გასპირი შეამოწმონო, — იფიქრა ივანემ, როცა ისინი დაინახა: — აბა ჩინოვნიც კაცს სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან.

მაგრამ როცა მოახლოვდნენ, ივანემ ისინი იცნო: „კაკარლიანი“ ბოქალის მწერლად იყო ოზურგეთში — ივანეს იმისთვის თხოვნაც კი დაეწერიბინა ქალაქში, — დანა-



რჩენი ორი კი ბატონის მამულში მსახურობდა. ცოცხალი არ იყო, ივანეს ეჭვი შეეპარა.

— შენ ხარ ივანე შეწირულად?

— Такъ точно .. მე ვახლავარ, დიხსი... მობრძანდით... უსაცრავთ, სკამს ვეღარ მოგართმევ .

— არა, მე მეჩქარება, საჯდომად არ მცალია. . კაცო, — უცებ აიმაღლა ხმა კაცრიანმა, —სამჯერ ვარ აქ მოსული და საქმე მაინც ვერ გამოკეთებია... .

— უსაცრავად, მე პირველათ გვხვავ, ბატონო, ერთი თვის მეტია არაა, რაც ჩამოვედი.

— მერე შენს ცოლს ხომ გამოუცხადე!

— გამაგებეთ, ბატონო, რა გნებათ. .

რაშია საქმე... .

— იმაშია, რომ ორი წლის საყანული არ გადავიხდით... მასწავლებელთ ამ სიცხეში, მათრევეთ.

მიხვდა ივანე, რომ ის ბატონის ახალი მოურავი იყო, და ცეცხლი აენთა გულში.

— შე ოჯახ-აშენებულო, არ ხედავ, რაც ვარ? და მერე კილო ახლა ნახეთ საყანულზე ლაპარაკის დრო? — ივანემაც აიმაღლა ხმა და პატარა თეთრს ჯვარზე მოიკიდა.

— შენთან სალაპარაკო თავი არა მაქვს და არც მცალია...მამღვე, თუ არა, გეკითხები?

— კაცო, შენ ხომ არ გადარეულხარ ..

სიღან უნდა მოგცე საყანული? და მერე შენ კილო რას ჰხედავ ჩემს შეწუხებას .. რა ნება გავ? — იყვირა ივანემ.

შეშინებულმა კაცომ თავი მიანება „ხოხლონი“ შენებას და მამას ამოფერა.

— ნახავ, რაც ნება მაქვს, — და ცინვით სთქვა მოურავმა და მიუბრუნდა მოხელეებს: — ახსენით ეს ძროხა და წაიყვანეთ... ხბო არ დასტოვოთ... .

— მერე მე რას მიპირობთ... ჩემი ცოლ-შვილი სად მივყავთ? — მე თქვენ... .

პატარა წაბლის ფერი ხბო თამაშით გაპყვადიდა, რომელიც უკვე გაიყვანეს ქუჩაში.

— კი და სად დეიმალებით, სადა? .

„ველიკი კნაზს“ დაუკრავ ტრეგერამს... ყვიროდა ივანე და მიაგორებდა ყუთს ქუჩისაკენ.

— ჰაბა, ლეზა წვიკან ეს ცემი კეკანი იაო?... — ეკითხებოდა კაცო... .

**გაბრიელ გოგუაძე**

# მ ე ლ ი ა

ჩამოსწყდა ია მწვანე, სათუთ ყლორტს, მდგომარეობა ქვეთინით დაეცა გულზე. ცელქო ნიაგო! რაზე მოსწყვეტე ნაზი ყვავილი ამ გაზაფხულზე?! დაჰქრის ნიაგი, ბიბინებს მდგომარეობა, ბალი ყვავილობს და იფურჩქნება მხოლოდ ია კი, ადრე მომწყვდარი, ბაღახებს შორის ჰქნება და ჰქნება!

დიღანს დაეცქერდი ფერ-მიმკრთალ ის, სევდით პურობილი ცრემლ-მორთული, მისმა სურათმა წინ გადმიშალა ჩემი ცხოვრების შავი რეული, და შევეკითხე: „მითხარი, იავ, როცა მეჯლისობს ეს გაზაფხული, არ გენანება ამ დროს სიკვდილი, ნუ-თუ გავიძინა სიცოცხლით გული? .

უცებ ნიაგმა ჩამოიქროლა და აიტაცა ყვავილი ცაში და გაფაგანე იის გოდება და ჩუმი კენესა ნიაგის ხმაში: „მივიღა, გზოვრდები არევე მშობელო, კვლავ ვერ გიხილავ ტურფა წალკატო: ცელქი ნიაგი მიმაფერნს შორს, ზორს და შენც, მშვიდობით, მშობელო ყლორტო.

მე გავიშალე გაზაფხულამდის, გაზაფხულამდის ვიწყე ცხოვრება, გაზაფხულამდის ვიგრძენ სიცოცხლე, ტანჯვა ძლიერი და ნეტარება. ვერსად ვხედავდი. მავრამ მე ვიგრძენ ნიაგის კოცნა, მზის სიყვარული... . მე მარტოდ მოველ ამ ქვეყანაზე და მარტოდ მივალ ობოლ-ველი.

ეხლა-კი, ეხლა, როცა ჩემს ირგვლივ ნორჩი ფოთლები იფურჩქნებიან, ჩემთვის უცხოა იმათი ენა, ისინიც ჩემსას ვერ-რას ხედეზიან, თუმცა ადრე მოხვდა ჩემს ნორჩ სიცოცხლეს შავი სიკვდილის პირბასრი ცელი მაგრამ ვიტყვი რომ ჩემი ცხოვრება ტანჯვა-განცლითა გრძელია, გრძელი“... .

როს გამოგერკვი, არ სჩანდა ია, ის ნიაგს საღდაც შორს წარტანა და მაშინ ვიგრძენ — თურმე ესტიროდი, ცრემლებით მკერდი ჩამომებანა.

დიღანს ვიღვეტი გულ-ხელ დაკრეფით, გაბრინდებული დიღანს ვეჭკობდი. თურმე ოცნებით გატაცებული, ჩემ თავს ჩემ ყოფნის ამბავს ვუთხრობდი!!!..

**ღარუბელი**





(სერგო მივა და კარებს აღებს. შემოდის ნატე)

X

სილომე, ეგნატე და სერგო

ეგნატე (დაბალი ტანის. თხელი გაჭაღარაგებული თმა და წვერი. მოხელის ტანისაშისი ზრვია, გახუნებული, გულზე ჟვარი ჰქვია. ღაპარაკობს ნელა. ქუდს მოხიდის და სდამიქს ხელს ჩამოართმევს დიმილით) ბოდიშს მოვითხოვ, სილომე, რომ უდროო დროს მოვედი. როგორ ვცივითხით, როგორ ბრძანდები?

სალ. (შიაწვევს სკამზე) მობრძანდით, დაბრძანდით, ბატონო ეგნატე, ბოდიში მე უნდა მოვიხადო რომ აქაურობა არეულია. (ორნივე დასხდებიან ბეჭს) აბა სერგო! საშოვარი ჩქარა.

ეგნ. თქვენ არ მომიკვდებ. არაფერი საჭირო არ არის. ჩიი კარგა ხანია ვიახელით.

სალ. (ბეჭს) მაშ გასწი და სადილი მოამზადე. (ეგნატეს) სადილად კი ვეღარ გაგიშვებთ ბატონო ეგნატე. (სერგო გადის)

ეგნ. (იგინის) გმადლობთ სილომე, მოვესწრებით ერთი-მეორესთან მისვლა-მოსვლას და სადილობას. დღეს თუ ვერ დავრჩები, ნურას უყავით. დღეს მიწა პატარა ვახშამი გავმართო, რამდენიმე ჩვენი ინტელიგენტი და საზოგადო მოღვაწე მოვიწვიე. გთხოვთ თქვენც და აპოლონიც გვეწვიოთ იმედია, უარს არ მეტყვით.

სალ. (დამილით) დიდის სიამოვნებით, მაგრამ სადილად მაინც ჩვენსა უნდა დარჩეთ.

ეგნ. მაპატიეთ, მაგრამ არ შემძლია, უნდა დროით მოვემზადო თქვენ დასახვედრად.

სალ. (ტუჩებზე ზეწვივით) თქვენი ნებაა, რა გეწყობა

ეგნ. ბატონი აპოლონი როგორ ბრძანდება, სადა ბრძანდება?

სალ. (დადარბული) ემ! როგორ იქნება, დღე მავას მოსვენება არა აქვს და ღამე.

ეგნ. დრო გამოიცვალა, დრო, სილომე. ახლიანდელი ყმაწვილები თავის თავზე და ოჯახობაზე სულ აღარ ფიქრობენ. ჩვენც ვაკეთებდით საქმე, მაგრამ ცოლიცა გვეყავდა, შეილებიც და ოჯახსაც უვლიდით.



მხახიობი კ. ფრანგიშვილი  
სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო.

ბელნიერი ღღე

(გაგრძელებულია. რხ. „თ. და ც.“ № 32)

IX

სილომე და სერგო

სერ. (დამილით) რა ვნებათ, ქალბატონო?

სალ. (მწერდად) ის ვნებას, რომ კარგი გასაჯოხავი ხარ!

სერ. (დამილით) უბ, რათა, ქალბატონო! რა დამიწვევია?

სალ. ის დავიწვევია, რომ ლაპარაკი არ იცი.

სერ. რუსული თუ ქართული, ქალბატონო?

სალ. (ქაოქლას აურის) არც ერთი და არ მეორე, შე მუდრეგო!

სერ. (გაოცებული იღიმება) აბა რაზე მიჯავრდები, ქალბატონო?

სალ. (მივა ახლოს ფეხებს უბრაგუნებს) იმაზე, რომ ლაპარაკი არ იცი. შენი ტოლი ხომ არა გგონია ჩემი აპოლონი, რომ ხუმრობა დაუწყე?

სერ. ქალბატონო! მაპატიე, სიბრიყვე.

სალ. (განხსნებული) მე ვიცი შენი პატიება როგორ უნდა. (მოისმის კარების გაკუნა) გააღე ჩქარა კარები, ვილაც მოვიდა.

**სალ.** ახლანდელი აღარც კაცი ვარკა და აღარც ქალი. თოხანმეტი წლისა ვიყავი რომ გავთხოვდი და მთელი ოჯახი თავზე დამაწვა, ჩემი მოსვენება არ იყო. დილით ისე აღრე ვდგებოდი, რომ ქათმებსაც კი ვძინათ. ახლანდელ ქალიშვილებს კეტით რომ სცემოთ, შუადღემდე ვერ ააყენებთ.

**გენ.** (სიცილით) წინათ ერთ კვირას რომ არაფერი მექამა აინუნში არ ჩავიდგებდი და ეხლანდელ ყმაწვილებს თუ მუდამ შოკოლადი და ყავა არ მიართვით, მუცლის ალიაკით მოსდით.

**სალ.** (მწუხარედ) აბა იმისთანა ვაქცას საღ ნახავთ ეხლა, როგორც განსვენებული ჩემი ქმარი ვაბრიელი იყო. (თავს აქანებს) ერთ ჩაფ ღვინოს ისე დაღვედა, როგორც ერთ ჭიქას, ეხლანდელმა ყმაწვილებმა ერთი ჭიქა რომ უალიონ ჯამ-ქურქელს თავზე დაგამტვრევინ.

**გენ.** (დამოაღით) ჩემს დროსაც ვიყავით ახალგაზღბები ე კლუბები და თეატრები არ გვქონდა, ჩემო სალომე, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებდით. წარმოდგენებს ვმართავდით, ვაზნითიც გვქონდა... მახსოვს ერთხელ „ბაიყუშია ვითამაშეთ. მე რევაზ თავ-ქარიანის როლს ვთამაშობდი და ძალიანაც ვასიამოვნე საზოგადოება.

**სალ.** (სიცილით) უი ქა! რა კარგი იქნებოდი.

**გენ.** (სწრაფხუვად) ყველანი ვზრომობდით ქვეყნისთვის. (წამოადგება და მივა ახლოს, შეტად სიადუმლოდ უურში ქმურსულება) იცით, სალომე, საქართველოს განთავისუფლებაც კი გვინდოდა. (შეშთ აქეთ-იქით ასეღებს) ხომ გახსოვს თბილისში რომ „ბუნტი“ იყო?

**სალ.** (გაფრთხუვდა) როგორ არა, მახსოვს. მე მაშინ პატარა ვიყავი.

**გენ.** (სიადუმლოდ) აი იმ „ბუნტში“ მეც ვიყავი,

**სალ.** (შეშთ) უიმე! მერე როგორ გადარჩიით?

**გენ.** (ამაყად) როგორც ხედავთ, კიდევ გადავრჩი და არც არავის ჩემთვის საყვედური არ უთქვამს, წინათ ისე კი არ ვიყავით „დაპარტიებულია“, როგორც ეხლა არიან

და ერთმანეთს სკამენ. მღვდელი, დეკანოზი თავადი, აზნაური და გლეხი ყველანი ერთად ვიყავით და ერთი პირი გვქონდა. ეჰ! დროება გამოიცვალა, სალომე!

**სალ.** (თავს აქნევს) ეჰ! დიად, გამოიცვალა, ჩემო ეგნატე. (გოტა ხანს ოხნივ დაღუშდება) სხვა, ბატონო, ეგნატე, როგორ ბრძანდება თებრო, სონა?.. შევეყვით ლაპარაკს და სულ დამავიწყდა მეკითხა.

**გენ.** (დამოაღით) არა უშავს, კარგად გახლავან.

**სალ.** (მწუხარედ) აგრე იცის სიბერემ, ჩემო ეგნატე, ასე ახლო ვსცხოვრობთ და ამდენი ხანია ერთხელ ვერ გადმოვედი თქვენსა. რამდენი ხანია თებრო არ მინახავს. ჩემი სონა ახლა მშვენიერი და ლამაზი ქალი იქნება.

**გენ.** (დამოაღით) იცოცხლეთ, ის კარგი ქალი დადგა. ისე უკრავს ფორტეპიანზე და მღერის, რომ მოგეწონებათ, ოჯახობას ნულარ იკითხავთ, მთელი დღე ქარით ტრიალებს.

**სალ.** (ეშმაყუნი დამოაღით) თუ დავაწერინე პირჯვარი ჩემს აპოლონს, ჩემისთანა ბედნიერი არავინ იქნება.

**გენ.** (გახარებულად) თქვენ იცით... ეს კი იცოდეთ, სალომე, რომ არას წააგებს აპოლონი, ცოლიც კარგი ეყოლებს და მოყვრებსაც მგონი არა გვიშავს რა.

**სალ.** (მსიარულად) აბა რას ბრძანებთ, ბატონო ეგნატე, თქვენისთანა მოყვარეს საღ ვიშოვნი.

**გენ.** ამ ერთი ქალის მეტი არავინა მყავს და თუ რამე გამაჩნია—მისი იქნება.

**სალ.** ღმერთმა მოგცეს, ბატონო ეგნატე. ვნახოთ, მოვალთ, ნახავს, გაიცნობს და შე იმედი მაქვს ეს საქმე სულ აღრე გავათათ.

**გენ.** (ადუფთოვანებათ) ჩემისთანა ბედნიერი კაცი ქვეყანაზე აღარავინ იქნება მაშინ.

**სალ.** (მინახოვდება) ნეტა მაგ ღღეს მოვესწრობოდე და მერე სიკვდილს არად ჩავადებდ. (შეშთაღს ახლოს) აი აპოლონიც.





**XI**

**სალომე, ეგნატე და აპოლონი**

**აპოლ.** (კიდევ ვერ დაშუიდეტულა და აღუკვება ეტუობა. ქუღს მოხდის და დაკვდეს. მაჲა ეგნატესთან და ხელს ჩამოართმევს) ბატონ ეგნატეს ვახლავართ.

**ეგნ.** (წამოდგება და აღუკვება) როგორ ბრძანდებით, ბატონო აპოლონ?

**აპოლ.** დაბრძანდით. (დაჟდება. ეგნატემ დაჟდება) გმადლობთ. სხვა, თქვენ როგორ გითხოვთ?

**ეგნ.** (დამაღიო) გმადლობთ. სხვა ახალი რა იციო, ბატონო აპოლონ?

**აპოლ.** (მწარე დამაღიო) ახალი? რა უნდა იყოს ჩვენ ში ახალი? ერთმანეთის ქიშპობა, ლანდ-ღვა-გინება და სხ... ერთი მეორეს სქამენ და საზოგადო საქმე კი ილუპება. იმ ზომამდე მიგაყვანენ კაცს, რომ ყველაფერს თავს დაანებებ.

**ეგნ.** (წუხიო) ცული ამავია, ცული, თქვენმა მზემ. ეპ, სად არის ძველი დრო? (წამოდგება. საღამოს) ეპ, ძალიან შევექეცი ლაპარაკს და შინ წასვლა კი დამევიწყდა. (აზღაღს) გთხოვთ დღეს საღამოზე ვახშობთ გვეწვიოთ, სალომეს უკვე ვთხოვე, თქვენი მეგობრები იქნებიან და გაცხანთ ჩემს ოჯახს.

**აპოლ.** (წამოდგება) დიდის სიამოვნებით, მაგრამ დაბრძანდით, ბატონო ეგნატე, რად იქართ. (საღამოს) დედა, სადილი არ არის?

**ეგნ.** გმადლობთ სალომემ ბევრი მთხოვა, მაგრამ რა არ შემიძლია დარჩენა. ხომ უნდა მოვემზადო დასახვედრათ? ნახვამდის. (ხელს აართმევს)

**აპოლ.** (ჩამოართმევს ხელს) ნახვამდის... მაგრამ ეგ როგორ შეიძლება, „ხაკუსკა“ რამე მიინც რათ არ მიართვი?

**სალ.** ბევრი ვებეწე, მაგრამ არა ქნა, შეილო

**ეგნ.** ჩა.ართმევს ხელს საღამოს) რად იწუხებდი თავს, კიდევ მოვესწრებით. ნახვამდის. მაშ მოველით (შიდას კარებაშდე საღამოზე და აზღაღს მიაციდეტუბ. კადის)

**აპოლ.** (დაღის აღუკვებუღი) დამაცადეთ, დამაცადეთ! გაცემ პასუხს.

**სალ.** (აღუკვებს) კარგი, შეილო, გენაცვალოს, დედა, ნუ ღელავ.

**აპოლ.** ოჰ! თუ ჩამივარდა ხელში, მე ვიცი მისი პასუხი. (მუშტს იქნევს) ისე დე-ბუმბლი, ისე რომ ერთი თვე ლოგინიდან ვე-ღარ აღვს. (მუშადის ბიჭი)

**XII**

**ივინავე და სერგო**

**სერ.** სადილი მზად ვახლავთ, ბატონო **აპოლ.** ბიჭო! დღეს აქ ხომ არავინ ყოფილა?

**სერ.** ბიჭი ვახლდათ ვახეთიდან. სხვა არავინ.

**აპოლ.** მეტე რა გითხრა?

**სერ.** ვახეთის რედაქტორმა გამომგზავ-ნაო, შენმა ბატონმა წერილი გამომგზავ-ნოსო.

**აპოლ.** (ძღაღრ გაბრაჲებუღა) ჰაა! წე-რილი? ამით უნდათ ბოღიში მოიხადონ? მე ვიცი თქვენი პასუხი. (დაღის და მუშტს იქნევს)

**სერ.** (ეშპაკურად იღიშება) ი ვილაც ოხერი ბიჭი იყო, დიწყო ლაპარაკი, შენი ბატონი როგორ არის, ავად ხომ არ ვახლავ, ვახეთში ვალანდესო. მე ბევრი ღარ დავაცალე ერ-თი ორი კი პანღური მივაცალე და გავაღდე.

**აპოლ.** ყოჩაღ! ყოჩაღ ჩემო სერგო! საღაბანები, მე ვახვენებ მავათ თაშის, ოჰ! კიკოლიკა, თუ ვიკოცხლე შენთვის... (დაღის შეტად აღუკვებუღი)

**სალ.** (ეხვევა და აშუიდეტეს) კარგი, შეი-ლო, გენაცვალოს დედა! დამშვიდდი (მაჭუკუს ნელ-ნელა) წამო, შეილო, ვისადილოთ. შემ-დღე მოისვენე, საღამოზე ეგნატესას ვაღაი-დეთ და გავერთოთ, წამო გენაცვალე! (შიდას ნელ და)

**აპოლ.** (ყვირას) დამაცადეთ, დამაცადეთ, თქვე პამპულეზო! (სერგო ღრუჭით უკან მის-ღებს)

**ფ ა რ დ ა**

**პ. ირეთელი**

(გაგრძელება იქნება)



# შ ა რ ა დ ა

სოველ შა უფრო იცია  
 ხარშოსთვის იმის კუთება,  
 მაგრამ თუ ცხელი მოგართევს,  
 გიტყვებათ შიშის ფეთება!

მცნარეკია სარგები,  
 იმავე სახელს ატარებს  
 და თვისი წვრილი ნაყოფით  
 წიწილ-აჩიტებს ახარებს.

პირველი ასო მოსწყვიტეთ,  
 სხვა ჩაიკითხეთ მთელადა:  
 გამოვა იგი, რაიცა  
 მრავალ ხალხს ითხოვს მსხვერპლადა...

იეძა

## ქართული სახიობა

**სოფ. მარტყოფი** (თბილისის მახრა) კვირას, 19 ივლისს, ადგილობრვ სკენის მოყვრეთ წარმოადგინეს ასაკო ცაგარის „ციმბირელი“. გადაჭარბებულად არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ წარმოდგენამ მეტად მწყობრად ჩაიარა. თითქმ სრულიად უნაკლად. თავით ბოლომდინ პიესის შეთანხმებულ-შეწყობილი მსვლელობა არ დარღვეულა. ამ საღამომ ნათლად დაგვიმტკიანა, რომ სადაც ერთსულოვანი მუყაითობა და მუშაობა გაჩაღებული, იქ საქმე მუდამ კარგად დაბოლავდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საღამოს ყველა მოთამაშენი, ქალი და კაცი, ხალისიანად თავის როლის შესრულების გარდა, დაუხარებლად უწყობდნენ ერთმანეთს ხელს სკენის შეცვლა—მოწყობაში, რის გამო ანტრაქტები სულ რაღაც 10—15 წუთით გრძელდებოდა, რაიც არა ჩვეულებრივი მოვლენაა სოფლის სკენაზე.

ბიოგრაფიის ფსები, შედარებით წინა წარმოდგენებთან, დაკლებული იყო, და დასრულებული დიღის უმეტესობას გლეხ-კაცობა შეადგენდა. ეს, რასაკვირველია, მეტად სასიხარულოა: სახალხო თეატრის აუდიტორია ნამდვილი ხალხი უნდა იყოს.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოეწონათ დამსწრეთ ეს პიესა. არ მოველოდი. თუმცა გასაკვირველიც არაფერია: ამ მეტის მეტად ცოცხლად დაწერილ დრამა-კომედიაში ყველაფერი მარტივი და ნათელია: ჩვენი ხალხი იცნობს მახუთიანის გუმბაძარ სუცი-ლებს, ნანცონა ისეთის იოვანეს დაღუპულ ოჯახის უმწვერ მდგომარეობა, იცნობს დარდიანდ პეტრუს, რომელიც, მთელი ქალაქის სიმდიდრე რომ არაუქონი, არ უღალატებს ძმა-ბიჭს ოჯახს. ყველა ეს

ნაცნობია, ადვილად გასაგები, და ამიტომ მოსწონს ჩვენი ხალხს ამ გვარი პიესები უგულითადესი მაღლობა სკენის მოყვრეთ და აგრედვე ბ-ნ შაქრა სულთანიშვილს, რომელმაც არ დაიხარა და მოთამაშეთ მშვენიერად გაუკეთა გრიმები. ვესურვებთ ხალხის და ძალ-ღონეს, რომ შემდეგაც არ მოველოთ ჩვენი ხალხისთვის ამისთანა სასარგებლო და სასიამოვნო გასართობები. მართალია, ბევრი დამატარებელი მიზეზები ელობებათ წინ, ბევრი რამ უშლით ხელს, ბევრ სოფლის ბოლოლას არ ესიამოვნება მათი ამ დარგში მუშაობა, მაგრამ ამით გული არ უნდა გაუტყდეთ. უფრო გაცხოველებულის ენერგიით უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი და, რამდენადაც ეს მოსახერხებელია, მჭეფარე ნაკადთ შეიკრან მღორედ ქვეული გლეხის ცხოვრებაში.

### ჯიუტიტო.

**ბაღდაღში** შაბათს, 11 ივლ. შალვა ჯაფარიძის გამგეობით წარმოადგინეს დ. კლიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ქსენია და შ. ჯაფარიძეების და ვარლ. ჩიკვაძის გარდა მონაწილეობდნენ ადგილობრივი სკენის მოყვრეთა ახალი ძალები, რომელთაც მოხდენილი თამაშით მოლოდინს გადააჭარბეს და ხელი შეუწყვეს კომედიების მწყობრად ჩატარებას. მესამე განყოფილებაში როკითის მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდმა იმღერა „მზე შინაო“, „მადლობე“ და ყრავიშვილის „სამოხლო“. მომღერალთა გუნდს დიღის აღტაცებით შეხება საზოგადოება. დასას ულ შალ. ჯაფარიძემ და პროკადი აბულაძემ „ვაი-ვიუს“ ხმაზე, ხოლო ვასილ აბულაძემ და ვარლ. ჩიკვაძემ „მიცოცესა“ ხმაზე იმღერეს კუნლეტები ადგილობრივ ჭირ-ვარაზზე და ბევრი აცინეს საზოგადოება.

მაღლობა ახალგაზღობას, რომ ასე ერთსულოვანად და ენერგიულად ეკიდება ხალხის სამსახურის საქმეს და ისეთ უზერხულ პირობებში, რადესაც სოფლად წარმოდგენების მართვა გასაჭირს წარმოადგენს, თითქმის ყოველ კვირას ხელ ზედ ასწრებენ წარმოდგენის მოწყობას. ბაღდაღში ეს მეთოდუჯერ გაიმართა ამ მოკლე ხანში წარმოდგენა და როკითში ერთხელ.

### მუთისის ძატი. დრ. საზოგადოებას

**ახალ გამგეობას** გადაუწყვეტია, ტანისამოსი თეატრის გარდერობიდან და პიესები არაყის ათხოვოს, რითაც დიდ გაჭირვებაში ავდებს პროვინციის მისახიობათა და სკენის მოყართ. ბევრი საჭირო პიესა დაბეჭდილი არ გვეპოვება, ეს ერთი, მეორე—ისტორიული ტანისამოსი რომ სკენის მოყვარემ შეაკრიონო კიდევ, პირველი—ის ისტორიული არ იქნებ და მეორეც—რა თანხით, როცა შემოსავლი 40 მანეთს არ აღწევს. ქუთაისის თეატრის გარდერობში მოეპოვება საჭიროსად ისტორიული ტანისამოსები: კარგი და ცოტა მდარე. აი ეს მდარე ტანისამოსი რომ





გაქირაოს და შემოსული ფულით შეაქეთოს ტანი-სამოსები უკეთესი იქნება. რაც შეეხება პიესებს, მე მგონი, მის განათხოვრებით არაფერი დასაძებდა, ამით ჩვენ საქმესაც ზღვს შეუწყობს, რაც მისი პირდაპირი მოვალეობაა. თორემ ზოგიერთ საპირო ისტორიულ პიესის უპროლობით პროვინცია დანატრულდება ისეთ წარმოდგენას (ისტორ. პიესებს), რომელიც ახლა უფრო საპიროა.

**მხანობრივი**

**სოფ. ძაქო ბაქაშვილისი** (სიღნაღის მაზრა)

19 მკათათვის შალვა დადიანის, ელა ადრონიკაშვილის და ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით დანიშნული იყო წარმოდგენა, ქართულ დამწერთ თეატრის და აქტორების სასარგებლოდ.

წარმოდგენილი იქმნა „მორევიმ“ და „რაც არ მერგება არ შეგერგება“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა; შემდეგ გაიმართა ვანშაში. წარმოდგენის სრული შემოსავალი იყო 333 მან. 25 კ. ხოლო წმინდა შემოსავალი დაგერჩა 51 მან. 34 კ., რასაც დღესვე ფოსტით გიგზავნილი და გზითვე გარდასცემს სადაც ჯერ არს ერთი ნახევარი ქართული თეატრის ასახელებლად და მეორე ნახევარი კი აქტორების სასარგებლოდ.

ჩემის მხრივ მადლობას ვუძღვნი ბ. შალვა დადიანს, ელა ანდრონიკაშვილს, ოლა საპაძეშვილს, კნ. ოლა ვანჩაძეს, ბ. მისაშვილს, ბ. ტეიშვილს, თ. ე. ვანჩაძეს, ბ. კ. გაბაშვილს და კნ. მარო ციციშვილს, რომელთაც არ დახოვცეს შრომა და მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში. მადლობას ვუძღვანებ აგრეთვე ზემო ბაქურციხელ სცენის მოყვარებს.

**გამეჭ წარმოდგენისა: კნ. ელენე მიხეილის ასული ანდრონიკაშვილისა. (რ. ს. ფ. 4)**

**ბორჯომში** რუსულ დას შემოსავლის მხრით

საქმე იმდენად კუდად წაუვიდა, რომ 23 ივლ. მოქმედება შესწყვიტა. მარიამისთვის შუა რიცხვებში აქაურ წ. კ. გ. ს. განყოფილებას და ინტელექტუალური ერთ ჯგუფს მსურთ გამართონ დიდი სეირონობა—წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით ხსენებული სპ-ბის განყოფილებით და წყალ-ფილმებისგან დაზარალებულ მიწურულთა სსარგებლოთ. შაბათს, 1 მარიამობისთვის, ხაშურის ქარ. დრ. წარმ. მსახობი. ხარდალიშვილის მონაწილეობით აქაურ თეატრში წარმოდგინა „მშენებელი ელენეს მამებრანი“ და „კვი ყობოს“, ლიბერტისმიერტით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული წარმოდგენები აქ იშვითად იმართება, ამ წარმოდგენას ხალხი სკამობად არ დანესწრო. ამ წარმოდგენის წინა დამესკი ამავე თეატრში ბ. ესებუამ კუდადა გამართა და იმდენი საზოგადოება დაწესწრო, რომ დარბ ზოტი ტევა არ იყო და ზედ-მეტეტი ბილეთების გაყიდვით საშინელი უწყროგობა სუფევდა.

ვირას, 2 - მარიამობისთვის, აქკველირსეთ „აქარულთა დღეს“ ქართული ქალ-ვაჟნი ჰყიდდენ გაზეთ „მთერ სიტყვას“. დიდი მადლობის ღირსი არიან ის პირნი, რომელთაც თვისი შრომა არ დახოვცეს ამ კუ-

თილ საქმისათვის და მთელი დღე მას შესწირეს; ესენი არიან: ქ. ქ. დ. ვაშაქიძისა, ე. ახალკაცი, თ. ხმალაძე, მ. ყორღოლიანი, თ. ტაბატაძე; ბ. ბ. გ. ვაშაქიძე, გ. ნანიშვილი, ა. ასხაბაძე, მოშაშვილი და სხ. „კრუშები“ დაიხსნა და დაითავლა ბოქაულის თანაშემწის ბ. მა სურაძის, გ. ვაშაქიძის და დ. მენელაძის თანადაწარსტო. სულ შემოსავლად 100 მან 39 კაპ.

**დ-ე**

**დ. ხაშურში** ხუთშაბათს, 6 აგვ. ბ-ნ ხარდა-

ლიშვილის მონაწილეობით წარმოდგინეს „ადეკატო მელაქი“ და „ელენე“. არც ერთი მათგანი მხატვრული ნაწარმოები არ არის, შინაარსითაც მეტად მოიხსუსტებს და, საკვირველია, ხაშურის დრმატ. წრე ასეთი პიესებით რათ გაუმსასინძლად ადგილობრივ საზოგადოებას ეს ერთი ხანი ასეთი უშინაარსო და მოცეკმებული პიესები იდგმება აქაურ სცენაზე და ალბად ესაა მიზეზი, რომ ხალხი დაფოხია, და უკანასკნელ წარმოდგენასაც საზოგადოება უნდადებოთ დაეწწრო. რაც შეეხება ამწრულმებლოთ, ნადა კოტეხი, რომ ზოგიერთების გარდა, თავის ადგილას არავინ იყო. მოთამაშეთვან განირჩეოდენ ქ-ნი ნ. ყაჭეშვილისა, ქ-ნი ქ. კალაძე, ბ-ნი ნ. სიხარულძე და მ. კვალიაშვილი. სასურველია, ხაშურის დრამ. წრე უფრო რიგიან პიესებს მიაწოდდეს ხალხს.

**ბ-ბ**

**წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი**

➔ **პალ. ზუნიბ** კახეთს გაემგზავრა წარმოდგენების სამართავად.

➔ **მხანობა ალ. შალვაბერიშვილის** საბენიფისოდ დღეს, 16 აგვ. დ. ყვირილის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ზღვასთან“, პიესა მ. მოქ.

➔ **ღიმ. ზინბარშიშვილმა** დასწავლა დრამ. ეტუდი „ლორი ძმა“ 1 მოქ. საქათ. წრე XVIII სტ.

➔ **მუხომისის გუბარნიის წმინდის** ზოგიერთ ამხანაგობას ქართული თეატრის ასაგებ თანხის გასაძლიერებლად გადაუდგია ნაწილი მოგებისა.

➔ **ქომა. ბ. შარაშილი სწავის** ოპერას ბალეტით. სიუჟეტი — „ფეფის ტყაონიდან“.

➔ **შურ. ახალი მოამბის გამომცემი**, უკალალობისა და სხვა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო, გვიან დაიწყება. მასალებით რედაქციის მიმე მისამართით უნდა ეგზავნოს.

**ხაზრუხის დრამ. წმინდის** წრის თავმჯდ.

გ. შათირიშვილის მეცადინეობით, კავკასიის სამხედრო უფროსის გენ. ვოლსკის განკარგულებით უკანედ დაუბრუნეს სასცენო დარბაზი (აბანოთთან), რომელიც ამას წინად ჩამოართვის ქალაქის უხუცეს მამათა მიწყოფილებით ვითომდა სამხედრო სასწელოს მონაწილად.

➔ **მხანობრივი მ. შარანბერიშვილი** სამხედრო სასახურში გაიწვიეს.



◆ **ახალი პიესა „გზა“**, სოფლის ცხოვრებადანი, დასწერა ს. ჭურჭიძემ. პიესა ერთ წრეში წაიკითხეს და მოიწონეს. ავტორს ურჩევს ზოგიერთ ადგილის შესწორებას.

◆ **დაზარალებულ ძარბველ მამამდინათ** სასარგებლოდ მ. ჯანაშვილი ბეჭდავს თვის ნაშრომს „მესხეთა“

◆ **სოფ. საკითხალში** სკენის მოყვარეთა მიერ ი. თარალაშვილის მოწინააღმდეგეობით ადგილობრივ სკენის საარსებლოდ 18 აგვ. წარმოდგენილი იქნება ივ. გომართლის „ქოხში“ და ივ. მაჩაბლის „ადეკატი მელაძე“.

◆ **ჩაქისორ-მხაზორი ხალ დადინი** და ელა ანდრონიკაშვილი, როგორც გაიგეთ, წელს ბაქოს ღრამ. წრეში ივ. რ. იმუშვებენ მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

◆ **ძარბ. კულტურის მოყვარულთა საზოგადოება**. გ. ყორღანის ახალი მოხსენებანი დაუწაღებდა, ამ თვის იკში თბილისის აბაზუნებმა და გამგებმა ჩვეულებრივ მუშაობას გააჩაღებს.

◆ **ხონის თეატრის** წაქეუული ლამფით (6 აგვ. 5. ჯგაზიშვილის ბენეფისის დრ უს) ცეცხლი გაუჩნდა. დარბაზში დიდი ალიაქოთი ასტყუდა. სერ. მამალაძისა და ვლ. ივანავის მეკადნიერობით ცეცხლი მალე ჩაქრეს.

◆ **მოსწავლე ბავშვთა** უკვე გადასაზარებნა „ვეფხისტყაოსანის“ ათი თავი. მგოსანი საშემოდგომოდ გვეწვევს და რამდენიმე რეპეტიას წაიკითხავს.

◆ **ხაზრუხის კლუბში** 6 აგვ. გაიმართა სალიტერატურო-საკონცერტო საღ მო 5. ერისთავის, ვანო სარაჯიშვილის, ქ. ჟურავლიძის და ვ. ფრანგიშვილის მონაწილეობით. მოვლად დასწრე საზოგადოებამ განსაკუთრებით მოიწონა ნ. ერისთავი, რომელმაც რამდენიმე რეპეტი წაიკითხა გრ. იორბელიანის, აკაკის, ვაჟის და ერთი რუსული, და ვანო სარაჯიშვილი, რომელიც რამდენჯერმე გამოიხმეს ცხარე ტაშით. ვერის, 9 აგვ. ქართულმა და მა ტასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგინა „მშვენიერი ელენე“ დაესწრა დიდალი საზოგადოება. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. ამავე დასმა კლუბის სკენზე ოთხშაბათს წარმოადგინა „კულმა იგრძნო“ და „დუქლი“. ხალხი ბლომად დაესწრა.

◆ **საბურთალოს თეატრში** 9 აგვ. გაიმართა სალიტერატურო დილა.

◆ **ნაქალაქის თეატრის ჩაქისორმა** 3. **სემიონიძემ** რედაქციას ვადმოსკა გ. ფოცხოველის (ხერხეულიძის) პიესა „მშობლების ბრალია“, რომელიც ავტორის მისთვის წარმოსადგენად გადაეცა. ბ სემიონიძის თხოვნით, ეს პიესა გადაეცემა განსვენებულის ქორეის ენ. ქ. ხერხეულიძისას, მისი კმ-ის კრებულში მოსათავსებლად.

◆ **შპისცვალობას დარის მონასტრში**

ანტონ ეპისკოპოსის მწირველობით მრავალი ხალხი შეიკრიბა. წირვაზე გალობდა ს. ხაშველ გლგხთა გუნდიც ეპიტაფიის ლიტურგიით. ხაშველ გლგხთა გუნდმა, 7—8 კაციგან შემდგარმა, ბევრი საგალობელი საუესოვოდ შეასრულა და თვისი ხალხური, ნაწილილი ქართული კილოთი დრად საამო შთაბეჭდილება მოახდინა. გლგხთა შეწყობილი ტკბილი ხმა და გარეგნობა—დაკარგებული ხელები, ჩოხა,—ახალუხი და თეკის ქულები საერთო ყურადღებას იქცევდა. როგორც შეეცდით, ყოველად სამდღელო აქცენის განუზრახავს, სხვა და სხვა სოფლებშიაც გლგხთა ასეთი გუნდების შედგენა-მოწყობას ხელი შეუწყოს.

◆ **შპ. თეატრის და ცხოვრების** ერთი ასოთამწყობთავანი პორფილე გორგოშიძე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

◆ **მეზას დაქაქალვის დღეს**. 2 აგვ. **სარ. თეატრში** იგრის სადგურის უფროსის ზალდასტანიშვილის თასრობით და რკინის გზის მუშათა მონაწილეობით დიდის ზემიით ამოიტანეს ორი გვირგვინი ცოცხალი ყვავილებისა: ერთში მოთავსებული იყო ვაჟას სურათი ზედწარწერით: „ვაჟა-ფშაველა გარდაცვადა“, მეორე ძაბით იყო შემოსილი. პროცესიის სოფლის ბოლოში მიეგებნენ ადგილობრივი გლგხნი, მღ. დავითაშვილის წინამძღოლობით აქ მცირე პანაშვიდი გადაიხადეს, შემდეგ პროცესია გამოემართა სართიკისი ველისიკი, სადაც გადინაღეს პანაშვილი მგოსნის სულის მოხსენებლად. ველისიაში სიტყვები წარმოხსტყვეს მღ. დავითაშვილმა (ვაჟა-ფშაველას საზოგადო მოღვაწეობაზე) და მუშა მ. წიფვიძემ (ხალხს გააცნო ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია—ვინაობა და ღვაწლი). ხალხი მოწინებით უსმენდა გაკვირვებული; „პაი, დედას რა დიდი კაცი ყოფილაო“

◆ **„არატისტ. თეატრის“ გამგე ა. ს. ბუზენი** კარდაცვადა. იგი ცნობილი იყო ვითარება სათავტრო საქმის შეწყობით კაბე, სტენის დიდი მოყვარული და თაოსანი. დაკრძალეს დიდუბეში. კუბო შექეული იყო ცოცხალ უკვილთა გვირგვინებით.

◆ **ლაგოდეზში** (კახეთი) მოწინავე პირთა წყალობით პორფე მაისიდან მოქმედება დაიწყო ახლად შემდგარმა „შრომა-ლაგოდეზის სკენის მოყვარეთა წრემ“, რომელიც ბეჭითად შეუდგა საქმეს და სისტემატიურად მართავს თვეში ორ წარმოდგენას, საქელომქმედო მიზნით და სახალხო ფასებში. (50 სკ—10 სკ.) ხალხი ხალხით ესწრება ყოველ წარმოდგენას; სასურველი სადღისთვის საჭირო პიესები გაუგზავნიანამხლად აღორბინებულ სკენის მოყვარეთა წრეს (მისამართი: **სიგნაჲ-ლაგოდეზი Геронтию Сачиновичу Чиква ИДЗ**).







# ახალი გამოცემა

შეკლასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უსსო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად აღდიგებული). წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკარის ყდაში, მორქოვილ-მოვარაყებულ ასო არშეიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით: ღირს ორი (2) მანათი (ფულის ვალახდომედავითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ეამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). ფოსტით: თიფლის. რედ. „Театри да Цховреба“ jos. იმედაშვილი.

## გამოვიდა და ისყიდება სამეზარეულო

„სორაპანის“ გამოცემა ქართული და მგროპიული სტუმრების სრული

ყლით 1 მ. 40 კ. მისამართი: თიფლის  
Типогр „Сорапань“ Мих Смир Гачечиладзе



თეატრი და ცხოვრება

## მიიღება 1915 წ. ნახევარი

### წლის ხელმოწერა

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

იუმორისტულ განყოფილებით და შარებებით

ყოველგვარ ჯგუფ-დასურ მიმართულებების გარეშე.

ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარებრტუარო პიესა.

შ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1თვ. 40 თითო ნომერი 10 კაპ.

ხელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს. მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: ორიგებით,

ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

თიფლის. რედ. „Театри да Цховреба“ Юсифу იმედაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

